42 (077)
ა - 993

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნანა ახობაძე

# კომპიუტერის საშუალებით უცხოურ ენაზე წერის ინტერაქტიური სწავლება ენობრივ ფაკულტეტებზე (ინგლისური ენის მასალაზე)

13.00.02 – სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი – 2004

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ნანა ახობაძე**

# კომპიუტერის საშუალებით უცხოურ ენაზე წერის ინტერაქტიური სწავლება ენობრივ ფაკულტეტებზე (ინგლისური ენის მასალაზე)

13.00.02 – სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

-1932-

Библиотека
гос. педа-
института

თბილისი – 2004

ნაშრომი შესრულებულია ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში


სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა დოღონაძე,
*პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

ოფიციალური ოპონენტები: მაღონა მეგრელიშვილი,
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

*ტატიანა ბუკია,*
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი


დისერტაციის დაცვა შედგება „--------“ ------------- სთ-ზე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიკის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს (PD 13.00 CN 1) სხდომაზე (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32)

ავტორეფერატი დაიგზავნა „--------“ ------------ 2004 წ

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ც. ლოლაძე

**თემის აქტუალობა**. პროგრამული მოთხოვნების შესაბამისად სკოლაში უცხოურ ენაზე წერა (დანარჩენი სამეტყველო აქტივობის სახეებისაგან განსხვავებით) ისწავლება მხოლოდ როგორც სწავლების საშუალება (და არა როგორც სწავლების მიზანი). ამდენად, წერას როგორც კომუნიკაციის საშუალებას სკოლის კურსდამთავრებულები პრაქტიკულად არ ფლობენ. ენის სპეციალისტს კი წერის საშუალებით კომუნიკაციის რეალიზაცია აუცილებლად უნდა შეეძლოს. წერის სწავლების მეთოდიკა ენობრივ ფაკულტეტებზე დღესდღეობით ნაკლებადაა დამუშავებული, რის გამოც სტუდენტების მიერ წერის უნარ-ჩვევების ფლობა არადამაკმაყოფილებელია. წერითი მეტყველების პროდუცირების, მისი სწავლების მეთოდიკის არასრულყოფაზე მითითებულია მთელ რიგ გამოკვლევებში.

შეუძლებელია იმის იგნორირება, რომ დღეს წერითი კომუნიკაცია (განსაკუთრებით, საერთაშორისო მასშტაბით) ძირითადად კომპიუტერის საშუალებით ხორციელდება. წერის ინტერაქტიური ხასიათი (ინფორმაციის მიწოდება, აზრების გაზიარება და ა.შ.) სწორედ ელექტრონული ფოსტის გამოყენებისას ვლინდება მისი სისწრაფის, შედარებითი სიიაფისა და თითქმის ყველგან შეღწევის უნარის გამო. ეს სრულიადაც არ გულისხმობს მასწავლებლის როლის და მისი პროფესიული კომპეტენტურობის უგულევლყოფას.

მასწავლებლის პროფესიულ კომპეტენტურობაში იგულისხმევა მისი თეორიული და პრაქტიკული მზადყოფნა პედაგოგიური მოღვაწეობის რეალიზაციისათვის. ახალი ტექნოლოგიების (მათ შორის, კომპიუტერის) გამოყენება სწავლებაში მთლიანობაში გარდაქმნის მასწავლებლის აქტივობას, რის შედეგადაც პედაგოგიური შრომის ისეთი თავისებურებანი ვლინდება, რომელთა იგნორირებაც მომავალი მასწავლებლების მომზადებაში დაუშვებელია. უცხოური ენის თანამედროვე მასწავლებელს უნდა შეეძლოს კომპიუტერის როგორც სწავლების მნიშვნელოვანი საშუალების, თავისუფლად გამოყენება. მას აგრეთვე სჭირდება სწავლების ისეთი მეთოდების ფლობა, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას, ორგანულად ჩართოს კომპიუტერით მუშაობა სასწავლო პროცესში და არ დაკარგოს ამ პროცესში საკუთარი მაორგანიზებელი და საკომუნიკაციო როლი.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის ენობრივ ფაკულტეტზე უცხოურ (ინგლისურ) ენაზე წერის სწავლების პროცესი კომპიუტერის გამოყენებით და იმ მეთოდების ძიება, რომლებიც ამ პროცესის წარმატებით განხორციელებას განაპირობებს.

**კვლევის საგანია** ინგლისურ ენაზე წერის უნარ-ჩვევების განმავითარებელი ისეთი სავარჯიშოების შემუშავება რომელთა, შესრულებისას ეფექტურად იქნება გამოყენებული კომპიუტერი. ამ მიზნით მოვახდინეთ კომპიუტერის საშუალებით უცხოურ ენაზე წერის ინტერაქტიური სწავლების თეორიული საფუძვლების გამოკვლევა და მის მო-